



შოთა რუსთაშვილის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

დამატებითი (minor) პროგრამა

აღმოსავლური ფილოლოგია

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: აღმოსავლური ფილოლოგია

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: დამატებითი

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის მოცულობა კრედიტებით:

პროგრამის ფორმატში სტუდენტმა უნდა დაამუშავოს შეთავაზებული სასწავლო კურსები და დააგროვოს 60 კრედიტი ბაკალავრის ხარისხის მისაღებად აუცილებელი 240 კრედიტიდან. დანარჩენი - 180 კრედიტი სტუდენტმა უნდა ძირითადი (Mijor) პროგრამიდან.

დამატებითი პროგრამის კურიკულუმი სასწავლო დისციპლინათა 2 კატეგორიას მოიცავს:

1. პროგრამის სავალდებულო კურსი – 5 კრედიტი
2. სპეციალიზაციის კურსები - 55 კრედიტი

პროგრამის მიზანი:

საქართველოს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან (არაბული, ირანული და თურქული სამყაროები) ისტორიული და თანამედროვე მჭიდრო პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობა ჩვენი ქვეყნისათვის აღმოსავლური ფილოლოგიის დარგებს აქტუალურსა და სტრატეგიულად მნიშველოვანს ხდის.

აღმოსავლური ფილოლოგია (არაბული ფილოლოგია, თურქული ფილოლოგია და სპარსული ფილოლოგია) ისტორიულ-ფილოლოგიური მიმართულებების კომპლექსური დარგია, რომელიც ერთი ობიექტის – აღმოსავლეთის (ახლო აღმოსავლეთის: არაბული სამყაროს, თურქეთისა და ირანის), მისი წარსულისა და აწმყოს გარშემო ერთიანდება.

აღმოსავლური ფილოლოგიის საბაკალავრო დამატებითი პროგრამის მიზანია, მოამზადოს აღმოსავლური ფილოლოგიის სპეციალისტები არაბული ფილოლოგიის, თურქული ფილოლოგიისა და სპარსული ფილოლოგიის მიმართულებით; თანამედროვე ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეების დონის შესაბამისად შეასწავლოს სტუდენტებს ერთ–ერთი აღმოსავლური ენა (არაბული, თურქული, სპარსული) და ლიტერატურა.

სწავლის შედეგები:

- **ცოდნა და გაცნობიერება:** პროგრამის კურსდამთავრებული ფლობს პრაქტიკულ ცოდნას ერთ–ერთ აღმოსავლურ ენაში (არაბული, თურქული, სპარსული);

აქვს საბაზისო ცოდნა:

- 1) ერთ–ერთი აღმოსავლური ენის ფონეტიკაში, მორფოლოგიაში, სინტაქსა და ლექსიკოლოგიაში;
 - 2) აღმოსავლური ლიტერატურისა (არაბული, თურქული, სპარსული) ისტორიის და გენეზისის შესახებ;
 - 3) აღმოსავლური (არაბული/თურქული/სპარსული) ლიტერატურული ნიმუშების ენობრივი სირთულეების შესახებ;
 - 4) მახლობელი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის და კულტურის ისტორიის საკითხებისა და ძირითადი ტენდენციების შესახებ;
 - 5) კურსდამთავრებულს გაცნობიერებული აქვს აღმოსავლური ფილოლოგიის დარგების (არაბული ფილოლოგია, თურქული ფილოლოგია, ირანული ფილოლოგია) მნიშვნელობა ქართული ენისა და კულტურის ისტორიის შესწავლისათვის.
 - 6) ისლამის ისტორიისა და სოციალური ინსტიტუტის, შუა საუკუნეებისა და თანამედროვე ისლამის მიმდინარეობების, ისლამური დოგმატიკისა და შარიათის ზოგად საკითხებზე;
 - 7) ახლო აღმოსავლეთის ხალხთა რელიგიური, ეროვნული და ყოფითი თავუსებურებების შესახებ.
- **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:**
 - 1) კურსდამთავრებულს შეუძლია რომელიმე აღმოსავლურ (არაბული, თურქული, სპარსული) კომუნიკაცია, ენის პრაქტიკული გამოყენება წერილობითი კორესპოდენციისა და ზეპირმეტყველების მიზნებისათვის. მას აქვს საუბრის წარმართვის უნარ-ჩვევები.
 - 2) შესწევს აღმოსავლური ენიდან ქართულად და პირიქით მარტივი ან საშუალო სირთულის სხვადასხვა ტიპის ტექსტების გაგების, ანალიზის, თარგმნის, ინტერპრეტაციისა და რეპრეზენტაციის უნარი.
 - 3) ერთ–ერთი აღმოსავლური ენის (არაბული, თურქული, სპარსული) ლექსიკონებზე მუშაობის უნარი.
 - 4) ხელმძღვანელობის პირობებში ენობრივი და ლიტერატურული მონაცემების შერჩევის, ფორმულირებისა და გამოყენების უნარს პრობლემის გადასაჭრელად; ინფორმაციის ეფექტურად მოპოვების უნარს როგორც პირველადი, ისე მეორადი საინფორმაციო წყაროებიდან, მათ შორის ინტერნეტის გამოყენებით;
 - 5) შეუძლია დამოუკიდებელი ანალიტიკური უნარის გამომუშავება შესაბამის დარგობრივ სფეროში;
 - 6) ლიტერატურისმცოდნეობით, ლინგვისტურ და ისტორიულ–კულტუროლოგიურ კონტექსტში დარგობრივი მონაცემების გააზრების, შეფასებისა და ანალიზის უნარი.

7) ახლო აღმოსავლეთის ხალხთა რელიგიური, ეროვნული და ყოფითი თავისებურებების გათვალისწინება სტუდენტს დაეხმარება ენის პრაქტიკულად გამოყენებისა და სწორი წერილობითი თარგმანის შესრულებაში.

• **დასკვნის უნარი:**

კურსდამთავრებულს გამოუმუშავებული აქვს:

- 1) დარგობრივი ინფორმაციის: ენობრივი სტრუქტურის, ლიტერატული და ისტორიული ფაქტების კრიტიკული შეფასებისა და სინთეზური მეთოდის გამოყენებით დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარი.
- 2) აღმოსავლური ფილოლოგიის (არაბული ფილოლოგიის, თურქული ფილოლოგიის, სპარსული ფილოლოგიის) ლინგვისტური და ლიტერატურული პრობლემის ზოგადლინგვისტური და ლიტერატურის თეორიის მონაცემების კონტექსტში გააზრების, ახსნისა და სათანადო დასკვნების გამოტანის უნარი.
- 3) აღმოსავლური (არაბული/თურქული/სპარსული) ენის გრამატიკისა და ლინგვისტური ტიპოლოგიის მონაცემების ზოგადფილოლოგიურ ასპექტში შეჯამების უნარი.

• **კომუნიკაციის უნარი:**

- 1) სტუდენტს შეუძლია ჯგუფური მუშაობისას და დისკუსიაში მიღებული მონაცემების ლოგიკურად და ეფექტურად კონსტრუირება და პრეზენტაცია; თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება დარგობრივ სფეროში. ერთ–ერთი აღმოსავლური (არაბული, თურქული, სპარსული) ენაზე კომუნიკაციის წარმართვა, კამათში ჩართვა და ა.შ. (ენის პრაქტიკული ფლობა). დავალების ლოგიკურად ჩამოყალიბება და მისაღები ფორმით გადმოცემა; სიტუაციაში ადაპტირების უნარი.
- 2) ახლო აღმოსავლეთის ხალხთა რელიგიური, ეროვნული და ყოფითი მონაცემების გათვალისწინებით სიტუაციაში სწორი ორიენტაციის უნარი.

• **სწავლის უნარი:**

- 1) კურსდამთავრებულს შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების სწორად დადგენა; მას აქვს საკუთარი შესაძლებლობების თვითშეფასების, ლინგვისტური და ლიტერატურული მოვლენების/პროცესების შეფასებისა და ანალიზის, ისტორიული ფაქტების განზოგადებისა და ისტორიულ კონტექსტში განხილვის, არგუმენტირების, კრიტიკული შეფასების, სამუშაო დროის დაგეგმვის, ორგანიზებისა და დამოუკიდებელი მუშაობის უნარი;
- 2) ჯგუფში მუშაობის უნარი;
- 3) სწავლისა და ცოდნის მუდმივი განახლების უნარი;
- 4) პროფესიული კამათის უნარ-ჩვევები.

- **ღირებულებები:**

- 1) სტუდენტი მონაწილეობს ღირებულებების ფორმირების პროცესში პროფესიულ კამათში ეთიკის დაცვით. მას აქვს აღმოსავლური და ქართული კულტურების ერთმანეთთან მიმართების გათვალისწინებით კომუნიკაციაში ტოლერანტული ღირებულებების განსაზღვრის უნარი.
- 2) ახლო აღმოსავლეთის ხალხებთან ურთიერთობის პროცესს ხშირად აფერხებს მათი მენტალიტეტისა და ფსიქოლოგიის, ტრადიციული ღირებულებების გაუთვალისწინებლობა. აღმოსავლური ფილოლოგიის სპეციალობის სტუდენტს ამ გარემოებათა გაითვალისწინებით შეუძლია ტოლერანტული დამოკიდებულების გამოჩენა ახლო აღმოსავლეთის მრავალფეროვანი და იმავდროულად შინაგანი მთლიანობით გამორჩეული კულტურული ტრადიციის მიმართ.

საგნები	დარგობრივი კომპეტენციები		ზოგადი კომპეტენციები			
	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარები	სწავლის უნარი	ღირებულებები
შარიათი	+	+	+			
არაბული ფილოლოგიის სპეციალიზაციის კურსები						
არაბული ენა 1	+	+				
არაბული ენა 2	+	+				
არაბული ენა 3	+	+		+	+	
არაბული ენა 4	+	+		+	+	
არაბული ენა 5	+	+		+	+	
არაბული ენა 6	+	+		+	+	
არაბული ლიტერატურის ისტორია 1	+	+			+	
არაბული ლიტერატურის ისტორია 2	+	+			+	
არაბული ლიტერატურის ისტორია 3	+	+	+		+	
არაბული ლიტერატურის ისტორია 4	+	+	+		+	+
არაბული ქვეყნების ისტორია	+	+			+	
თურქული ფილოლოგიის კურსები						
თურქული ენა 1	+	+				
თურქული ენა 2	+	+				
თურქული ენა 3	+	+		+	+	
თურქული ენა 4	+	+		+	+	
თურქული ენა 5	+	+		+	+	
თურქული ენა 6	+	+		+	+	
თურქული ლიტერატურის ისტორია 1	+	+			+	
თურქული ლიტერატურის ისტორია 2	+	+			+	

თურქული ლიტერატურის ისტორია 3	+	+	+		+	
თურქული ლიტერატურის ისტორია 4	+	+	+		+	+
თურქეთის ისტორია	+	+			+	
სპარსული ფილოლოგიის კურსები						
სპარსული ენა 1	+	+				
სპარსული ენა 2	+	+				
სპარსული ენა 3	+	+		+	+	
სპარსული ენა 4	+	+		+	+	
სპარსული ენა 5	+	+		+	+	
სპარსული ენა 6	+	+		+	+	
სპარსული ლიტერატურის ისტორია 1	+	+			+	
სპარსული ლიტერატურის ისტორია 2	+	+			+	
სპარსული ლიტერატურის ისტორია 3	+	+	+		+	
სპარსული ლიტერატურის ისტორია 4	+	+	+		+	+
ირანის ისტორია	+	+			+	

დამატებითი სპეციალობა (minor): აღმოსავლური ფილოლოგია

1. არაბული ფილოლოგია
 2. თურქული ფილოლოგია
 3. სპარსული ფილოლოგია
- სასწავლო გეგმა

კოდი	კურსი	ESTC	სკ.	ლ./პრ./ დამ.	სემესტრი							
					I	II	III	IV	V	VI	VII	VIII
პროგრამის სავალდებულო კურსები 5 ESTC												
	შარიათი	5	2	15/15/95			*					
არაბული ფილოლოგიის სპეციალიზაციის სავალდებულო კურსები 50 ESTC												
	არაბული ენა 1	5	4	0/60/65			*					
	არაბული ენა 2	5	4	0/60/65				*				
	არაბული ენა 3	5	4	0/60/65					*			
	არაბული ენა 4	5	4	0/60/65						*		
	არაბული ენა 5	5	4	0/60/65							*	
	არაბული ენა 6	5	4	0/60/65								*
	არაბული ლიტერატურის ისტორია 1	5	2	15/15/95					*			
	არაბული ლიტერატურის ისტორია 2	5	2	15/15/95						*		
	არაბული ლიტერატურის ისტორია 3	5	2	15/15/95							*	
	არაბული ლიტერატურის ისტორია 4	5	2	15/15/95								*
	არაბული ქვეყნების ისტორია	5	2	15/15/95				*				
თურქული ფილოლოგიის სპეციალიზაციის კურსები												
	თურქული ენა 1	5	4	0/60/65			*					
	თურქული ენა 2	5	4	0/60/65				*				
	თურქული ენა 3	5	4						*			
	თურქული ენა 4	5	4	0/60/65						*		
	თურქული ენა 5	5	4	0/60/65							*	
	თურქული ენა 6	5	4	0/60/65								*
	თურქული ლიტერატურის ისტორია 1	5	2	15/15/95					*			

	თურქული ლიტერატურის ისტორია 2	5	2	15/15/95						*		
	თურქული ლიტერატურის ისტორია 3	5	2	15/15/95							*	
	თურქული ლიტერატურის ისტორია 4	5		15/15/95								*
	თურქეთის ისტორია	5	2	15/15/95				*				
სპარსული ფილოლოგიის სპეციალიზაციის კურსები												
	სპარსული ენა 1	5	4	0/60/65			*					
	სპარსული ენა 2	5	4	0/60/65				*				
	სპარსული ენა 3	5	4	0/60/65					*			
	სპარსული ენა 4	5	4	0/60/65						*		
	სპარსული ენა 5	5	4	0/60/65							*	
	სპარსული ენა 6	5	4	0/60/65								*
	სპარსული ლიტერატურის ისტორია 1	5	2	15/15/95					*			
	სპარსული ლიტერატურის ისტორია 2	5	2	15/15/95						*		
	სპარსული ლიტერატურის ისტორია 3	5	2	15/15/95							*	
	სპარსული ლიტერატურის ისტორია 4	5	2	15/15/95								*
	ირანის ისტორია	5	2	15/15/95				*				

- **სტუდენტთა შეფასების სისტემა**

სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანებებით განსაზღვრული შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება მე-6 პუნქტის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

2. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:

ა) შუალედურ შეფასებას;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

4. დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.

5. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.

6. შეფასების სისტემით დასაშვებია:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა. ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

7. მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.

8. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში.

დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა.

სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.

პროგრამის განხორციელებათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი:

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტს ჰყავს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები: 12 მეცნიერებათა დოქტორი და 9 სპეციალისტი, მათ შორის 2 სრული პროფესორი, 3 ასოცირებული პროფესორი, 3 ასისტენტ პროფესორი, 2 მასწავლებელი და 11 მოწვეული სპეციალისტი.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტი აღჭურვილია სასწავლო პროცესისათვის საჭირო საშუალებებით: 4 კაბინეტი, 5 კომპიუტერი, 2 ქსეროქსი, 2 სკანერი, 4 პრინტერი, სახელმძღვანელოები, სამეცნიერო პერიოდული გამოცემები.

სტუდენტს შეუძლია გაიაროს მოკლე და გრძელვადიანი სტაჟირება შესაბამის ქვეყნებში (ეგვიპტე, თურქეთი, ირანი და სხვ.).

საქართველოში თურქეთის საელჩოსა და ეგვიპტის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული ტექნიკური თანამშრომლობის ფონდის დაფინანსებითა და მხარდაჭერით აწესდის აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტში მოვლენი არიან თურქული და არაბული ენის თურქი და არაბი (ეგვიპტელი) მასწავლებლები.

პროგრამის სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია კეთილმოწყობილი კაბინეტებით, აუდიტორიებით, კომპიუტერული ცენტრებით, შესაბამისი საბიბლიოთეკო ფონდებით (წიგნადი, ციფრული). ყველა სტუდენტისათვის ხელმისაწვდომია საბიბლიოთეკო ფონდები და პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შესაბამისი მონაცემთა ბაზები.

სასწავლო კურსების ანოტაციები

პროგრამის საერთო სავალდებულო კურსი

ისლამი (რელიგია, ისტორია, ცივილიზაცია)

კოდი: HIB0950

კურსი მოიცავს ისლამის წარმოშობის და მისი ძირითადი მიმდინარეობების ისტორიას. მუჰამედის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. ყურანისა და შარიათის საკითხებს. ისლამურ დოგმატიკასა და კულტს, თეოლოგიურ-იურიდიული მაზჰაბების საკითხს; ისლამური ფილოსოფიის ძირითადი მიმდინარეობების ისტორიის საკითხებს; ისლამური ექსპანსიის პროცესში კულტურათა შერწყმა-შერევის საკითხებსა და ისლამური რენესანსის როლს შუა საუკუნეების ევროპულ კულტურაში; ისლამს, როგორც მსოფლიო რელიგიასა და მის იუდაისტურ-ქრისტიანული საფუძველების, ასევე მახლობელი აღმოსავლეთის ხალხთა მითოლოგიის პასაჟებისა და ქრისტიანული სიუჟეტების ტრანსფორმირების საკითხებს ისლამში.

სპეციალიზაცია: არაბული ფილოლოგია

არაბული ენა 1

კოდი: HIB0850

კურსი მოიცავს ენის პრაქტიკულ მასალასა და შესაბამის გრამატიკულ საკითხებს ლექსიკის, ფონეტიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის სფეროში იმ დონეზე, რომ სტუდენტმა შეძლოს ფონემათა სწორი წარმოთქმა, მახვილის სწორი გამოყენება, შესწავლილი სიტყვების გამართული წარმოთქმა და გამოყენება, მათი ორთოგრაფიულად გამართული დაწერა და წარმოთქმის ჩვევის ჩამოყალიბება, ელემენტარული ტექსტების ლექსიკონის გამოყენებით თარგმნა, მათი მოსმენით შინაარსის აღქმა და გაგება. ამისათვის გათვალისწინებულია კემბრიჯისა და ჯორჯთაუნის უნივერსიტეტში აპრობირებული სპეციალური სახელმძღვანელოები. არაბული ენის (1) კურსის ამოცანს წარმოადგენს ბაკალავრის მიერ ენის საბაზისო-ელემენტარული ცოდნის შეძენას.

არაბული ენა 2

კოდი: HIB0860

კურსის მიზანია სტუდენტმა ლექსიკონის გამოყენებით შეძლოს მარტივი ტექსტების თარგმნა, წაკითხული ან მოსმენილი ტექსტის შინაარსის აღქმა, გაგება და გადმოცემა. სტუდენტს მასალა მიეწოდება იმის გათვალისწინებით, რომ მან მიიღოს ენის საბაზისო ცოდნა (ელემენტარული დონე),

რაც მას დაეხმარება არაბული ენის შესწავლის მომდევნო ეტაპზე (საშუალო დონე). კურსი მოიცავს ენის ზეპირი და წერიტი მეტყველების, გრამატიკის საფუძვლებს: მორფოლოგიის, ლექსიკისა და სინტაქსის სფეროში; სასწავლო სახემდგანელოებში მოცემული ტექსტების კითხვას, თარგმნას, შინაარსის გადმოცემას, ახალი ლექსიკის ათვისებას; ლექსიკურ-გრამატიკული სავარჯიშოების შესრულებას, მარტივი დიალოგების წარმართვას. არაბული ენის ამ კურსით სრულდება ენის შესწავლის ელემენტარული დონე (კემბრიჯისა და ჯორჯთაუნის უნივერსიტეტების პროგრამის ანალოგიით).

არაბული ენა 3

კოდი: HIB0870

კურსი მოიცავს ენის ზეპირ და წერიტი მეტყველებას, გრამატიკის საფუძვლებს. სწავლების ამ ეტაპზე სტუდენტს უნდა ჩამოუყალიბდეს და გამოუმუშავდეს კითხვის, გამართული წერისა და ზეპირი მეტყველების ჩვევა. მასალა ლექსიკასა და გრამატიკაში მიწოდებულ იქნება იმის გათვალისწინებით, რომ სტუდენტმა მიიღოს ცოდნა, რომელიც ხელს შეუწყობს მის მიერ არაბული ენის შეგნებულ და ოპტიმალურ დაუფლებას და ენის საკომუნიკაციო მიზნისათვის გამოყენების უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

კურსის მიზანია არაბული ენის გრამატიკული მოვლენების, მათი ურთიერთკავშირისა და ურთიერთმიმართებათა ჩვენება. არაბული ენის გრამატიკის თეორიული საფუძვლების დაუფლება. საშუალო სირთულის ტექსტების თარგმნა და შინაარსის გადმოცემა.

არაბული ენა 4

კოდი: HIB0880

კურსი მოიცავს ენაში არსებულ გრამატიკულ მოვლენათა და მათ ურთიერთმიმართებათა ანალიზს, მორფოლოგიისა და სინტაქსის ძირითადი საკითხების შესწავლას, ლექსიკოლოგიის საკითხების დამუშავებას.

კურსის მიზანია მოამზადოს სტუდენტი არაბული ენის გრამატიკის კომპლექსური ცოდნისათვის და გამოუმუშავოს მას მყარი უნარ-ჩვევები სწორი მეტყველებისათვის. გავლილი ენობრივი მასალის ცოდნის საფუძველზე სტუდენტმა უნდა შეძლოს საშუალო სირთულის არაბული ტექსტების თარგმნა, ანალიზი.

არაბული ენა 5

კოდი: HIB0890

კურსი მოიცავს ენაში არსებულ გრამატიკულ მოვლენათა და მათ ურთიერთმიმართებათა ანალიზს, ფაქტიურად მორფოლოგიისა და სინტაქსის ძირითადი საკითხების შესწავლის დასრულებას, ლექსიკოლოგიის საკითხების დამუშავებასა და პრესის ენის სპეციფიკის საკითხების გაცნობა-შესწავლას.

კურსის მიზანია მოამზადოს სტუდენტი არაბული ენის გრამატიკის კომპლექსური ცოდნისათვის და გამოუმუშავოს მას მყარი უნარ-ჩვევები სწორი მეტყველებისათვის. გავლილი ენობრივი მასალის ცოდნის საფუძველზე, სტუდენტმა უნდა შეძლოს არაბული მხატვრული ლიტერატურის ნიმუშებისა და ისტორიულ-გეოგრაფიული ტექსტების თარგმნა, ანალიზი.

არაბული ენა 6

კოდი: HIB0900

კურსი მოიცავს არაბული ენის მაღალ დონეს, კერძოდ, ჯორჯთაუნისა და კემბრიჯის უნივერსიტეტების პროგრამას (სტილისტიკისა და ლექსიკოლოგიის საკითხებს, ფრაზეოლოგიზმებისა და იდიომების დამუშავება), რისთვისაც პროგრამაში გათვალისწინებულია კლასიკური და თანამედროვე მხატვრული ლიტერატურის, ისტორიოგრაფიული, პრესის ტექსტების დამუშავება.

კურსის მიზანია გამოუმუშავოს სტუდენტს მყარი უნარ-ჩვევები სწორი მეტყველებისათვის და მოახდინოს ამ უნარ-ჩვევათა ავტომატიზირება.

ენის ამ ეტაპის შესწავლის წინაპირობაა არაბული ენის (5) კურსის ათვისება.

არაბული ლიტერატურის ისტორია 1

კოდი: HIB0910

არაბული ლიტერატურის შესწავლის ისტორიის, პერიოდიზაციისა და ლიტერატურის წყაროების, ისლამამდელი პერიოდის არაბული ლიტერატურის, ძველი არაბული პოეზიის ჩასახვისა და განვითარების ეტაპების, ხასიათის, მოტივების, ლექსთწყობის საკითხების, ლიტერატურული პროცესების შესწავლა. ძველი არაბული პოეზიის მნიშვნელობისა და ტიპოლოგიური პარალელების განსაზღვრა.

კურსი მოამზადებს სტუდენტს, ჩაწვდეს არაბული ლიტერატურის საფუძვლებს და დააფიქსიროს კავშირი მსოფლიო ლიტერატურასთან.

არაბული ლიტერატურის ისტორია 2

კოდი: HIB0920

კურსის მიზანია შუა საუკუნეების არაბული ლიტერატურის განვითარების ეტაპების, პერიოდიზაციისა და ლიტერატურის წყაროების, განვითარების ეტაპების, ხასიათის, მოტივების, ლექსთწყობის საკითხების, ლიტერატურული პროცესების შესწავლა. ძველი არაბული პოეზიის მნიშვნელობისა და ტიპოლოგიური პარალელების განსაზღვრა.

კურსი მოამზადებს სტუდენტს, ჩაწვდეს არაბული ლიტერატურის საფუძვლებს და დააფიქსიროს კავშირი მსოფლიო ლიტერატურასთან.

არაბული ლიტერატურის ისტორია 3

კოდი: HIB0930

ახალი არაბული ლიტერატურის პროცესებისა და ტენდენციების შესწავლა. ახალი არაბული ლიტერატურის ზოგადი მიმოხილვის, კულტურული აღორძინების ფაქტორების, არაბული სალიტერატურო ენის პრობლემის, ძირითადი ჟანრების და მიმდინარეობების განვითარების შესწავლა. კურსის მიზანია სტუდენტმა შეძლოს არაბულ ენაზე მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობა და დამუშავება, ლიტერატურული პროცესების გაანალიზება და მსოფლიო ლიტერატურასთან პარალელების დაფიქსირება. კურსი მოიცავს იმ სოციალურ-პოლიტიკური ვითარების შესწავლას, რომელიც არაბულ ქვეყნებში შეიქმნა დასავლეთის სახელმწიფოების კოლონიური ექსპანსიის შედეგად. XIX ს-ში დაიწყო აქტიური არაბული ქვეყნების გააქტიურება მსოფლიო პოლიტიკურ სდარბიელზე. მოგვიანებით, მთელ რიგ არაბულ ქვეყნებში ნავთობისა და გაზის აღმოჩენამ, მათი რაციონალური ექსპლუატაციისა და უტილიზაციის სტრატეგიამ კიდევ უფრო მიმზიდველი გახადა არაბული სამყარო თავისი მრავალმხრივი პოლიტიკურ-კულტურულ-რელიგიური კონტექსტით საერთაშორისო არენაზე.

არაბული ლიტერატურის ისტორია 4

კოდი: HIB0940

ახალი არაბული ლიტერატურის პროცესებისა და ტენდენციების შესწავლა. ახალი არაბული ლიტერატურის ზოგადი მიმოხილვა. კულტურული აღორძინების ფაქტორების, არაბული სალიტერატურო ენის პრობლემის, ძირითადი ჟანრების და მიმდინარეობების განვითარების შესწავლა. კურსის მიზანია სტუდენტმა შეძლოს არაბულ ენაზე მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობა და დამუშავება.

არაბული ქვეყნების ისტორია

კოდი: HIB0960

კურსის მიზანია სტუდენტმა შისწავლოს არაბული სამყაროს ისტორიის პერიოდიზაცია; ისლამამდელი, მართლმორწმუნე ხალიფების, ომაელთა, აბასელთა და დაცემის ხანის ისტორიული პროცესები; არაბული სახალიფოს ჩამოყალიბების განვითარების სტრუქტურის, ადმინისტრაციული დაყოფის, ექსპანსიისა და დაშლის, არაბული სამყაროს გეოგრაფიული, სოციალური და კულტურული საკითხები. კურსის ამოცანაა სტუდენტს გააცნოს შუა საუკუნეების არაბთა პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების სფერო, განსაკუთრებით ისლამის გავრცელების შემდგ, რომელიც ძველი ირანის, წინა აზიის და ბერძნულ-რომაული ცივილიზაციის საფუძველზე აღმოცენდა.

სპეციალიზაცია: თურქული ფილოლოგია

თურქული ენა 1

კოდი: HIB1090

კურსი მოიცავს ენის პრაქტიკულ მასალასა და შესაბამის გრამატიკულ საკითხებს ლექსიკის, ფონეტიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის სფეროში იმ დონეზე, რომ სტუდენტმა შეძლოს ფონემათა სწორი წარმოთქმა, მახვილის სწორი გამოყენება, შესწავლილი სიტყვების გამართული წარმოთქმა და გამოყენება, მათი ორთოგრაფიულად გამართული დაწერა და წარმოთქმის ჩვევის ჩამოყალიბება, ელემენტარული ტექსტების ლექსიკონის გამოყენებით თარგმნა, მათი მოსმენით შინაარსის აღქმა და გაგება. ამისათვის გათვალისწინებულია პეტერბურგის, სტამბოლისა და ანკარის უნივერსიტეტებში აპრობირებული სპეციალური სახელმძღვანელოები. თურქული ენის (1) კურსის ამოცანს წარმოადგენს ბაკალავრის მიერ ენის საბაზისო-ელემენტარული ცოდნის შეძენას.

თურქული ენა 2

კოდი: HIB1200

კურსის მიზანია სტუდენტმა ლექსიკონის გამოყენებით შეძლოს მარტივი ტექსტების თარგმნა, წაკითხული ან მოსმენილი ტექსტის შინაარსის აღქმა, გაგება და გადმოცემა. სტუდენტს მასალა მიეწოდება იმის გათვალისწინებით, რომ მან მიიღოს ენის საბაზისო ცოდნა (ელემენტარული დონე), რაც მას დაეხმარება თურქული ენის შესწავლის მომდევნო ეტაპზე (საშუალო დონე). კურსის მიზანია ენის ზეპირი და წერიტი მეტყველების, გრამატიკის საფუძვლებს: მორფოლოგიის, ლექსიკისა და სინტაქსის სფეროში; სასწავლო სახელმძღვანელოებში მოცემული ტექსტების კითხვას, თარგმნას, შინაარსის გადმოცემას, ახალი ლექსიკის ათვისებას; ლექსიკურ-გრამატიკული სავარჯიშოების

შესრულებას, მარტივი დიალოგების წარმართვას. თურქული ენის ამ კურსით სრულდება ენის შესწავლის ელემენტარული დონე (პეტერბურგის, ანკარისა და სტამბოლის უნივერსიტეტების პროგრამის ანალოგიით).

თურქული ენა 3

კოდი: HIB1210

კურსის მიზანია სტუდენტმა ლექსიკონის გამოყენებით შეძლოს მარტივი ტექსტების თარგმნა, წაკითხული ან მოსმენილი ტექსტის შინაარსის აღქმა, გაგება და გადმოცემა. სტუდენტს მასალა მიეწოდება იმის გათვალისწინებით, რომ მან მიიღოს ენის საბაზისო ცოდნა (ელემენტარული დონე), რაც მას დაეხმარება თურქული ენის შესწავლის მომდევნო ეტაპზე (საშუალო დონე). კურსი მოიცავს ენის ზეპირი და წერიტი მეტყველების, გრამატიკის საფუძვლებს: მორფოლოგიის, ლექსიკისა და სინტაქსის სფეროში; სასწავლო სახემდგანელოებში მოცემული ტექსტების კითხვას, თარგმნას, შინაარსის გადმოცემას, ახალი ლექსიკის ათვისებას; ლექსიკურ-გრამატიკული სავარჯიშოების შესრულებას, მარტივი დიალოგების წარმართვას. თურქული ენის ამ კურსით სრულდება ენის შესწავლის ელემენტარული დონე (პეტერბურგის, ანკარისა და სტამბოლის უნივერსიტეტების პროგრამის ანალოგიით).

თურქული ენა 4

კოდი: HIB1220

კურსის მიზანია სტუდენტმა ლექსიკონის გამოყენებით შეძლოს საშუალო დონის ტექსტების თარგმნა, წაკითხული ან მოსმენილი ტექსტის შინაარსის აღქმა, გაგება და გადმოცემა. სტუდენტს მასალა მიეწოდება იმის გათვალისწინებით, რომ მან მიიღოს ენის საბაზისო ცოდნა, რაც მას დაეხმარება თურქული ენის შესწავლის მომდევნო ეტაპზე. კურსი მოიცავს ენის ზეპირი და წერიტი მეტყველების, გრამატიკის საფუძვლებს: მორფოლოგიის, ლექსიკისა და სინტაქსის სფეროში; სასწავლო სახემდგანელოებში მოცემული ტექსტების კითხვას, თარგმნას, შინაარსის გადმოცემას, ახალი ლექსიკის ათვისებას; ლექსიკურ-გრამატიკული სავარჯიშოების შესრულებას, მარტივი დიალოგების წარმართვას. თურქული ენის ამ კურსით სრულდება ენის შესწავლის ელემენტარული დონე (პეტერბურგის, ანკარისა და სტამბოლის უნივერსიტეტების პროგრამის ანალოგიით).

თურქული ენა 5

კოდი: HIB1230

კურსის მიზანია სტუდენტმა ლექსიკონის გამოყენებით შეძლოს მაღალი დონის ტექსტების თარგმნა, წაკითხული ან მოსმენილი ტექსტის შინაარსის აღქმა, გაგება და გადმოცემა. სტუდენტს მასალა მიეწოდება იმის გათვალისწინებით, რომ მან მიიღოს ენის მაღალი ცოდნა, რაც მას დაეხმარება თურქული ენის შესწავლის მომდევნო ეტაპზე. კურსი მოიცავს ენის ზეპირი და წერიტი მეტყველების, გრამატიკის საფუძვლებს: მორფოლოგიის, ლექსიკისა და სინტაქსის სფეროში; სასწავლო სახემძღვანელოებში მოცემული ტექსტების კითხვას, თარგმნას, შინაარსის გადმოცემას, ახალი ლექსიკის ათვისებას; ლექსიკურ-გრამატიკული სავარჯიშოების შესრულებას, რთული დიალოგების წარმართვას. თურქული ენის ამ კურსით სრულდება ენის შესწავლის მაღალი დონე (პეტერბურგის, ანკარისა და სტამბოლის უნივერსიტეტების პროგრამის ანალოგიით).

თურქული ენა 6

კოდი: HIB1240

კურსის მიზანია სტუდენტმა ლექსიკონის გამოყენებით შეძლოს მაღალი დონის ტექსტების თარგმნა, წაკითხული ან მოსმენილი ტექსტის შინაარსის აღქმა, გაგება და გადმოცემა. სტუდენტს მასალა მიეწოდება იმის გათვალისწინებით, რომ მან მიიღოს ენის მაღალი ცოდნა, რაც მას დაეხმარება თურქული ენის შესწავლის მომდევნო ეტაპზე. კურსი მოიცავს ენის ზეპირი და წერიტი მეტყველების, გრამატიკის საფუძვლებს: მორფოლოგიის, ლექსიკისა და სინტაქსის სფეროში; სასწავლო სახემძღვანელოებში მოცემული ტექსტების კითხვას, თარგმნას, შინაარსის გადმოცემას, ახალი ლექსიკის ათვისებას; ლექსიკურ-გრამატიკული სავარჯიშოების შესრულებას, რთული დიალოგების წარმართვას. თურქული ენის ამ კურსით სრულდება ენის შესწავლის მაღალი დონე (პეტერბურგის, ანკარისა და სტამბოლის უნივერსიტეტების პროგრამის ანალოგიით).

თურქული ლიტერატურის ისტორია 1

კოდი: HIB1250

კურსი მოიცავს თურქული ლიტერატურის ჩამოყალიბების საკითხებს, რომელიც უკავშირდება თურქული ტომების გამოჩენასა და დამკვიდრებას მცირე აზიაში. საწყის ეტაპზე იგი წარმოდგენილი იყო მდიდარი თურქული ფოლკლორით, რომელიც თურქული მოდგმის ხალხების ცენტრალურ აზიასა და ციმბირში განსახლების პერიოდიდან ჩამოყალიბდა: ქოროღლის საგმირო ხალხური თქმულებების ციკლს: არაბულ-სპარსული ზეგავლენით შექმნილ ლიტერატურას. დამწერლობითი ლიტერატურის ჩასახვას XIV საუკუნიდან თურქ-სელჩუკებში. ფოლკლორი. შუა საუკუნეების თურქულენოვანი ზეპირსიტყვიერების შესანიშნავი ნიმუში

“Kitab-ı Dedem Korkut” პაპაჩემი ქორქუთისა), მისი ისტორიულ-მხატვრული მნიშვნელობა. სპარსულენოვანი ლიტერატურის უდიდესი წარმომადგენელი ჯელალ-ედ-დინ რუმი და სუფიური ორდენი – მეველევი. რუპი ბალდადი, ისა ნეჯათი, იუნუს ემრე, აშიკ ფაშა და სხვ.

თურქული ლიტერატურის ისტორია 2

კოდი: HIB1260

კურსი მოიცავს თურქული ლიტერატურის ისტორიას თურქეთის სახელმწიფო პოლიტიკურ ზენიტში ყოფნისას, ე.წ. თურქული პოეზიის “ოქროს ხანა”. თურქული პოეზიის მეტრის მაჰმუდ აბდულ ბააკის (1526-1600), ომერ ნეფის (1580-1635), იზეთ მოლას (1785-1829) და ვასიფ ენდეროლლუს (17 -1824) ცხოვრებასა და შემოქმედებას. შეისწავლება ამ პერიოდის თურქული ლექსის ტექნიკა, თემა, სახეები, თურქული ლირიკის დაცემის ხანა ე. წ. “ტექნიკური პოეზია” – “ლულაზი”, “მუამა”, “თარიღი” და ა. შ.

ასევე, თურქული ლიტერატურის რეფორმების ე. წ. "თანზიმათის" პერიოდს, როდესაც საფუძველი ეყრება პერიოდული პრესის გამოცემასა და ენობრივ რეფორმას. ნამიქ ქემალის, იბრაჰიმ შანასის, შამსიდინ სამის, აჰმედ მიდჰათ ფაშას და სხვათა შემოქმედებას.

თურქული ლიტერატურის ისტორია 3

კოდი: HIB1270

კურსი მოიცავს თურქული ლიტერატურული ჟანრების განვითარებისა და პოეტიკის საკითხებს. ე. წ. “სერვეთი ფუნუნის” ლიტერატურას: ჯენაბ შეჰაბედინი, ჯალალ საჰირი, ფაიქ ალი, პროზაიკოსები: ჰალიდ ზია უშაქლიგილი, მეჰდი რაუფი და სხვ. ყურადღება გამახვილდება ასევე პოეზიაში დემოკრატიული მიმდინარეობების ჩამოყალიბებაზე. კურსი მოიცავს ასევე, “ახალგაზრდა თურქთა” 1908 წლის რევოლუციის პერიოდსა და მის გავლენას იმ პერიოდის თურქულ ლიტერატურაზე. განხილული იქნება მე-20 საუკუნის დასაწყისის ძირითადი ლიტერატურული მიმდინარეობანი, ახალი თურქული ნოველის ფუძემდებლის ომერ სეიფედინის ცხოვრება და მოღვაწეობა.

თურქული ლიტერატურის ისტორია 4

კოდი: HIB1280

კურსი მოიცავს XX ს-ის თურქულ ლიტერატურას. შესწავლილი იქნება ახალი ეტაპი თურქული რომანის განვითარებაში - რეშად ნური გუნთეჟინის, ორჰან ქემალის, იაშარ ქემალის ცხოვრება და მოღვაწეობა. თურქული პოეზიის ახალი ეტაპი – ნაზიმ ჰიქმეთის პოეტური და პუბლიცისტური მოღვაწეობა. XX ს-ის უდიდესი თურქი ნოველისტების აზიზ ნესინის, საბაჰატინ ალის შემოქმედებას, პოეტ ფაიზალ ჰუსლუს შემოქმედებასა და ორჰან ფამუქის რომანის

პოეტიკის საკითხებს. დიდი თურქი ნოველისტის ჰალდუნ თანერის ცხოვრებასა და შემოქმედებას.

თურქეთის ისტორია

კოდი: HIB1300

კურსი მოიცავს თურქთა მიგრაციისა და განსახლების პროცესებს. სტუდენტი შეისწავლის თურქ-სელჩუკთა და თურქ-ოსმალთა დასახლებას მცირე აზიაში და ურთიერთობას საქართველოსთან. კურსის მიზანია სტუდენტი გაეცნოს ოსმალეთის იმპერიის ისტორიას (XII.-XXს. 20-იანი წლები). მოახდინოს იმპერიაში მიმდინარე ისტორიული პროცესების ანალიზი. შეისწავლოს ისლამის რელიგიის გავლენა თურქულ სამყაროზე.

თურქეთის ისტორია კურსის შესწავლის შედეგად სტუდენტს შეექმნება ობიექტური წარმოდგენა ჩვენი ქვეყნის უახლოესი მეზობლის თურქეთის (ოსმალეთის) ისტორიის შესახებ, რაც აუცილებელია ჩვენს ქვეყნებს შორის ჯანსაღი ურთიერთობის არსებობისათვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს იმ თვალსაზრისითაც, რომ ოსმალეთის იმპერიასთან საქართველოს ჰქონდა ხანგრძლივი კულტურულ-ისტორიული ურთიერთობა. ირან-ოსმალეთის საუკუნოვანი ომების შემდეგ ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში აღმოჩნდა ქართული სახელმწიფოს გარკვეული ნაწილი – სამცხე-საათაბაგო, რომელიც დღესაც თურქეთის რესპუბლიკის შემადგენლობაშია და იქ არსებობს ქართული კულტურის ძეგლები და ქართული დიასპორა.

სპეციალიზაცია: სპარსული ფილოლოგია

სპარსული ენა 1

კოდი: HIB0970

კურსი მოიცავს ენის პრაქტიკულ მასალასა და შესაბამის გრამატიკულ საკითხებს ლექსიკის, ფონეტიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის სფეროში იმ დონეზე, რომ სტუდენტმა შეძლოს ფონემათა სწორი წარმოთქმა, მახვილის სწორი გამოყენება, შესწავლილი სიტყვების გამართული წარმოთქმა და გამოყენება, მათი ორთოგრაფიულად გამართული დაწერა და წარმოთქმის ჩვევის ჩამოყალიბება. სპარსული ენის კურსის ამოცანას წარმოადგენს ბაკალავრის მიერ ენის საბაზისო-ელემენტარული ცოდნის შექმნას.

სპარსული ენა 2

კოდი: HIB0980

კურსი მოიცავს ენის პრაქტიკულ მასალასა და შესაბამის გრამატიკულ საკითხებს ლექსიკის, ფონეტიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის სფეროში იმ დონეზე, რომ სტუდენტმა შეძლოს ფონემათა სწორი წარმოთქმა, მახვილის სწორი გამოყენება, შესწავლილი სიტყვების გამართული წარმოთქმა და გამოყენება, მათი ორთოგრაფიულად გამართული დაწერა და წარმოთქმის ჩვევის ჩამოყალიბება, ელემენტარული ტექსტების ლექსიკონის გამოყენებით თარგმნა, მათი მოსმენით შინაარსის აღქმა და გაგება. სპარსული ენის (2) კურსის ამოცანს წარმოადგენს ბაკალავრის მიერ ენის საბაზისო-ელემენტარული ცოდნის შექმნას.

სპარსული ენა 3

კოდი: HIB0990

კურსი მოიცავს ენის პრაქტიკულ მასალასა და შესაბამის გრამატიკულ საკითხებს ლექსიკის, ფონეტიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის სფეროში იმ დონეზე, რომ სტუდენტმა შეძლოს ფონემათა სწორი წარმოთქმა, მახვილის სწორი გამოყენება, შესწავლილი სიტყვების გამართული წარმოთქმა და გამოყენება, მათი ორთოგრაფიულად გამართული დაწერა და წარმოთქმის ჩვევის ჩამოყალიბება, ელემენტარული ტექსტების ლექსიკონის გამოყენებით თარგმნა, მათი მოსმენით შინაარსის აღქმა და გაგება. სპარსული ენის (3) კურსის ამოცანს წარმოადგენს ბაკალავრის მიერ ენის საბაზისო-ელემენტარული ცოდნის შექმნას.

სპარსული ენა 4

კოდი: HIB1000

კურსი მოიცავს ენის ზეპირ და წერით მეტყველებას, გრამატიკის საფუძვლებს. სწავლების ამ ეტაპზე სტუდენტს უნდა ჩამოუყალიბდეს და გამოუმუშავდეს კითხვის, გამართული წერისა და ზეპირი მეტყველების ჩვევა. მასალა ლექსიკასა და გრამატიკაში მიწოდებულ იქნება იმის გათვალისწინებით, რომ სტუდენტმა მიიღოს ცოდნა, რომელიც ხელს შეუწყობს მის მიერ სპარსული ენის შეგნებულ და ოპტიმალურ დაუფლებას და ენის საკომუნიკაციო მიზნისათვის გამოყენების უნარ-ჩვევების გამომუშავებას. კურსის მიზანია სპარსული ენის გრამატიკული მოვლენების, მათი ურთიერთკავშირისა და ურთიერთმიმართებათა ჩვენება. სპარსული ენის გრამატიკის თეორიული საფუძვლების დაუფლება.

კურსის ამოცანაა სტუდენტმა შეძლოს თანამედროვე და კლასიკურ ტექსტებზე დამოუკიდებლად მუშაობა ლექსიკონის საშუალებით, გამოიტანონ შინაარსი და ისტორიული ლექსიკაზე დაკვირვებით ქართულად გამართონ ტექსტში არსებული წინადადებები.

სპარსული ენა 5

კოდი: HIB1010

კურსი მოიცავს ენის ზეპირ და წერით მეტყველებას, გრამატიკის საფუძვლებს. სწავლების ამ ეტაპზე სტუდენტს უნდა ჩამოუყალიბდეს და გამოუმუშავდეს კითხვის, გამართული წერისა და ზეპირი მეტყველების ჩვევა. მასალა ლექსიკასა და გრამატიკაში მიწოდებულ იქნება იმის გათვალისწინებით, რომ სტუდენტმა მიიღოს ცოდნა, რომელიც ხელს შეუწყობს მის მიერ სპარსული ენის შეგნებულ და ოპტიმალურ დაუფლებას და ენის საკომუნიკაციო მიზნისათვის გამოყენების უნარ-ჩვევების გამომუშავებას. კურსის მიზანია სპარსული ენის გრამატიკული მოვლენების, მათი ურთიერთკავშირისა და ურთიერთმიმართებათა ჩვენება. სპარსული ენის გრამატიკის თეორიული საფუძვლების დაუფლება.

კურსის ამოცანაა სტუდენტმა შეძლოს თანამედროვე და კლასიკურ ტექსტებზე დამოუკიდებლად მუშაობა ლექსიკონის საშუალებით, გამოიტანონ შინაარსი და ისტორიული ლექსიკაზე დაკვირვებით ქართულად გამართონ ტექსტში არსებული წინადადებები.

სპარსული ენა 6

კოდი: HIB1020

კურსი მოიცავს ენაში არსებულ გრამატიკულ მოვლენათა და მათ ურთიერთმიმართებათა ანალიზს, ფაქტიურად მორფოლოგიისა და სინტაქსის ძირითადი საკითხების შესწავლის დასრულებას, ლექსიკოლოგიის საკითხების დამუშავებასა და პრესის ენის სპეციფიკის საკითხების გაცნობა-შესწავლას.

კურსის მიზანია მოამზადოს სტუდენტი სპარსული ენის გრამატიკის კომპლექსური ცოდნისათვის და გამოუმუშავოს მას მყარი უნარ-ჩვევები სწორი მეტყველებისათვის. გავლილი ენობრივი მასალის ცოდნის საფუძველზე, სტუდენტმა უნდა შეძლოს სპარსული მხატვრული ლიტერატურის ნიმუშებისა და ისტორიულ-გეოგრაფიული ტექსტების თარგმნა, ანალიზი.

სპარსული ლიტერატურა 1

კოდი: HIB1030

კურსის მიზანია სპარსული ლიტერატურის აღმოცენებისა და განვითარების ეტაპების შესწავლა. სპარსული ლიტერატურის კვლევის ობიექტი და მისი ქრონოლოგიური ჩარჩოები. სპარსული ლიტერატურის შესწავლა ირანში, ევროპასა და საქართველოში. ლიტერატურის წყაროები (თეზქერეები, განმარტებითი ლექსიკონები, ისტორიულ-ლიტერატურული ძეგლები). პერიოდიზაციის საკითხები (გეოგრაფიული, დინასტიური, ქრონოლოგიური, ჟანრობრივი), ძველი სპარსული ლიტერატურა, “ავესტა” მისი ჩამოყალიბების დრო, ადგილი და შემადგენლობა. ლურსმნული წარწერები აქემინიდთა დროის ირანში. საშუალო სპარსული ლიტერატურა. სასანიანთა ეპოქის ირანი. სასულიერო და საერო ლიტერატურის განვითარების ძირითადი ეტაპები. ჩვენამდე მოღწეული საშუალო სპარსული ლიტერატურის ნიმუშები. ცნობები ჩვენამდე არმოღწეული ძეგლების შესახებ. სასანიანთა დინასტიის დაცემა არაბთა ლაშქრობის შედეგად. ისლამის წარმოშობა და მისი გავრცელება ირანში. ახალი სპარსული ენის ჩამოყალიბება და ლიტერატურული ჟანრების წარმოშობა, ისლამური პერიოდის პირველი ირანელი პოეტები.

სპარსული ლიტერატურის ისტორია 2

კოდი: HIB1040

შუა საუკუნეების სპარსული ლიტერატურის განვითარების ეტაპების, პერიოდიზაციისა და ლიტერატურის წყაროების, განვითარების ეტაპების, ხასიათის, მოტივების, ლექსთწყობის საკითხების, ლიტერატურული პროცესების შესწავლა. ირანული საგმირო და სამიჯნურო ეპოსი, ხაიამის, საადის, ჰაფეზის, ხაყანის და სხვათა ლირიკა (ყაზალი, რობაი)

კურსი მოამზადებს სტუდენტს, ჩაწვდეს სპარსული ლიტერატურის ნიმუშებსა და პოეტებს, რომლებმაც ახალ სპარსულ ენაზე შექმნეს ლიტერატურული ძეგლები.

სპარსული ლიტერატურის ისტორია 3

კოდი: HIB1050

კურსის მიზანია სპარსული ლიტერატურის კლასიკური პერიოდის პოეტებისა და პროზაული ჟანრის მიმდევრების შემოქმედების დახასიათება, ომარ ხაიამის ლირიკის დახასიათება, იდეურ თემატური კლასიფიკაცია.

თემურიანთა პერიოდის ლიტერატურული შედეგები. ეპოსის ჟანრის რედაქცია და რემინისცენცია. ჯამი როგორც ეპოსის ჟანრის მიმდევარი და მისი შემოქმედების მნიშვნელობის განსაზღვრა მახლობელი აღმოსავლეთის ხალხთა ლიტერატურაში.

“ქილილა და დამანა” ვაეზ ქაშეფისეული რედაქცია და “ანვარე სოჰაილის” იდეურ მხატვრული მნიშვნელობა, ქართული თარგმანის წყაროები და მათი მიმართება სპარსულ ორიგინალებთან.

სეფისნთა ხანის ლიტერატურის მიმოხილვა.

კურსის მიზანია სტუდენტმა შეძლოს სპარსულ ენაზე მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობა და დამუშავება, ლიტერატურული პროცესების გაანალიზება და მსოფლიო ლიტერატურასთან პარალელების დაფიქსირება.

სპარსული ლიტერატურის ისტორია 4

კოდი: HIB1060

კურსის მიზანია ახალი სპარსული ლიტერატურის პროცესებისა და ტენდენციების შესწავლა. მისი ჩამოყალიბების წინაპირობების განსაზღვრა. “საფარ-ნამეებისა” და განმანათლებლური მოძრაობის მნიშვნელობა თანამედროვე სპარსული ლიტერატურის განვითარებისათვის. თანამედროვე ლიტერატურის ჟანრების ჩამოყალიბება და ამ ჩამოყალიბებაში დასავლეთ ევროპული და რუსული ლიტერატურული ნიმუშების თარგმანების მნიშვნელობა. თანამედროვე სპარსული რომანისა და ნოველის ფორმირება. ფსიქოლოგიური ნოველის სტრუქტურულ-მხატვრული თავისებურებანი. ს. ჰედაიათის, ბ. ალავის, ჯემალ-ზადეს, ს. ნაფისის შემოქმედება. ტრადიციული და თანამედროვე ლირიკული ჟანრები სპარსულ პოეზიაში, ნიმა იუმიჯი, ფარვინ ეთესამი, სოჰრაბ სეფეჰრი, ფორულ ფაროხზადი. თანამედროვე სპარსული ლიტერატურის განვითარების სამომავლო პერსპექტივები.

ირანის ისტორია

კოდი: HIB1080

კურსი მოიცავს არიელების გამოჩენის ხანიდან (ძვ. წ. აღ.-ის II ათასწლეულის პირველი ნახევარი), ირანში არაბული ექსპანსიისა და ისლამის გავრცელების პერიოდს. ყურადღება გამახვილდება მიდიისა და მესოპოტამიის ურთიერთობაზე, რეგიონში ახალი ძალის ჩამოყალიბებაზე. კურსის ფარგლებში სტუდენტები გაეცნობიან აქემენიდური ირანის ფორმირების საკითხს, სელევკიდების სახელმწიფოს ჩამოყალიბებასა და არშაკიდული და სასანური იმპერიების სახემწიფო პოლიტიკის საკითხებს, მათ ურთიერთობას კავკასიასთან და მათ კავკასიურ პოლიტიკას, სასანური ირანის დაცემასა და ირანში ისლამის გავრცელებას კურსის მიზანია სტუდენტი გაეცნოს ირანში ისლამის გავრცელების შემდგომ პერიოდს, ირანში მიმდინარე ანტიარაბულ აჯანყებებს, პირველი ნაციონალური დინასტიების ჩამოყალიბებასა და სამანელთა სახელმწიფოს ჩამოყალიბების წინაპირობებს, კურსის ფარგლებში სტუდენტი გაეცნობა სელჩუკთა, მონღოლურ, თემურელთა, შავბატკნიანთა და თეთრბატკნიანთა მმართველობის პერიოდებს ირანში, სეფიანთა ირანის ჩამოყალიბებასა და განვითარებას, ზენდთა,

ყაჯართა მმართველობაში მოსვლასა და მათ სახელმწიფო პოლიტიკას, ასევე ირანის ურთიერთობას XIX საუკუნეში დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან, რუსეთთან და აშშ-სთან, ფეჰლევა საგვარეულოს სათავეში მოსვლასა და ისლამურ რევოლუციას.